სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის

დავით ჯანიკაშვილის ანგარიში 2022 წ .დეკემბრიდან 2023 წლის 10 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ამომრჩევლებო!

კოლეგებო!

ერთი წელი გავიდა ,რაც ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის მოთხოვნის შესაბამისად ანგარიშით წარვდექი თქვენს წინაშე და დღეს კიდევ გაბარებთ ერთი წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ ,როგორც იცით, მაჟორიტარი დეპტატების შეხვედრები სოფლებში უკვე დასრულდა . მათი მუშაობა ამომრჩევლებმა დადებიათად შეაფასეს და დღეს თქვენს წინაშე ანგარიშით ვართ საკრებულოში პარტიის „ ქართული ოცნება“ პროპორციული წესით შესული დეპუტეტები.

იყო ხალხის წარმომადგენელი ,მიმაჩნია უდიდესი ნდობა და პასუხისმგებლობაა.

თითეული ჩვენთაგანი ვგრძნოთ ამ პასუხისმგებლობას და ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენდამი გამოხატული ნდობის შესანარჩუნებლად .

მოგეესხსენებათ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბერს , საიდანაც არჩეული ვარ საკრებულოს თავმჯდომარედ . ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

ვცდილობ საკრებულოში გადაწყვეტილებები მივიღოთ მოსახლეობის ჩართულობითა და ინტერესების გათვალისწინებით. შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოთ საზოგადოების ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებით . (ინფორმაცია მუდმივად ქვეყნდება, როგორც მუნიციპალიეტის ვებგვერდზე, ასევე საკრებულოს სოციალურ გვერდზე)

დღევანდელი საკრებულო წარმოდგენილია 36 წევრით, მათგან 12 მაჟორიტარია, 10 ოპოზიციური პარტიებიდან არჩეული , დანარჩენი 1 4 კი– პარტიის „ ქართული ოცნება“ სიით შესული. 36 წევრიდან ქალია 9, რომელთაგან 4– საკრებულოს თანამდების პირია.

საკრებულოში შექმნილია 5 მუდმივმოქმედი კომისია და 2 ფრაქცია .

საკრებულოს სხდომები კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება თვეში ერთი მაინც, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 15 საკრებულოს სხდომა , 23 საკრებულოს ბიურო. სხდომებზე განიხილება როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული , ასევე

მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე რიგარეშე საკითხები. საკრებულოს მიერ მიღებულია სულ 226 სამართლებრივი აქტი, მათ შორის :

77 ინდივიდუალურ-სამართლებრი აქტი- განკარგულება, 29 ნორმატიული აქტი- საკრებულოს დადგენილება. გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება-101.

შემიძლია ვთქვა, რომ საკრებულომ თავისი საქმიანობა სრულყო რეგლამენტის შესაბამისად. კერძოდ, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების კომისიებში წინასწარ სავალდებულო განხილვა.

ამ პერიოდში ჩატარებული კომისიების სტატისტიკა ასეთია:

იურიდიული კომისია -9 სხდომა, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია-7 სხდომა, კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია -9 სხდომა, საფინანსო - საბიუჯეტო კომისია -11 სხდომა.საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის 11 სხდომა.

საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაზე მთავარი დოკუმენტი , რაც საკრებულომ მიიღო, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტია. დამტკიცებული ბიუჯეტის წლიური მოცულობა 17მლნ 600 ათასია, რაც 3. მლნ 780 ათასით მეტია 2022 , ხოლო 6 მლნ 300 ათასით მეტი 2021 წლის წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის მოცულობასთან. 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა 33 მლნ 654 ათასია, რაც 2 მლნ 444 ათასით მეტია 2022 წლის , და 10 მლნ 490 ათასი ლარით მეტია შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ბიუჯეტის გადასახდელების 10 % ხელფასია , ინფრასტრუქტურული სამუშაოები 52 %, 4,0 .% სოციალური პროგრამები და ჯანმრთელობის დაფინანსება 0.06..% წარმომადგენლობითი ხარჯები, 20 % მოდის ა(ა) ი.პ –ების სუბსიდიაზე.

საკრებულო, მისი კომისია ყოველ კვარტალურად ისმენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს . 2023 წლის წლიური შესრულების მოსმენა კი 2024 წელს გაიმართება.

საკრებულოში მუშაობისას მუდმივად მაქვს ინდივიდუალური შეხვედრები მოქალაქეებთან. მათ ნებისმიერ დროს შუძლიათ მოსვლა საკრებულოში და არ არიან შეზღუდული მიღების საათებით. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოვიარე ყველა ადმინისტრაციული ერთეული,

პირადად მივიღე მონაწილეობა მაჟორიტარი დეპუტატების ანგარიშების წარდგენის შეხვედრებში , მათგან მოვისმინე არსებული პრობლემები.იგი ძირითადად ეხება სოციალურ საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემის მოწყობას,

სავარგულებში სადრენაჟე სარწყავი არხების დამონტაჟებას, შიდა საუბნო გზების მოასფალტებასა და გარე განათების მოწყობას ინფრასტრუქტურის

ვამაყობ პროექტით, მუნიციპალიტეტის მთავარი პრობლების - სიღნაღის მუნიციპალიტეტის უწყვეტი წყალმომარაგების საკითხის დაძლევით. მოგეხსენებათ, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი სიღნაღის მუნიციპალიტეტში დასასრულს უახლოვდება. პროექტის ფარგლებში წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ახალი სისტემები, ქსელები, ჭაბურღილები, საქლორატორო და რეზერვუარები მოეწყო. მისი დასრულების შემდეგ, მოსახლეობა, ახალი სისტემით, მაღალი ხარისხის წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს.

2023 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდში სიღნაღის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაფინანსებებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ან მიმდინარეობს 27 539 400 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები.

2023 წელს **რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის** თანადაფინანსებით სულ განხორციელდა ან მიმდინარეობს 16 027 633 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის:

ქ. სიღნაღი:

1. წმ. გიორგის ქუჩის საყრდენი კედლების და ს/გზის რეაბილიტაცია 2615 $მ^2$-ზე 427 030 ლარი.
2. ფიროსმანის ქუჩის საყრდენი კედლების და ს/გზის რეაბილიტაცია 3865 $მ^2$-ზე, 474 009 ლარი .
3. ხელოვნურსაფარიანი მინი-სპორტული მოედნის მოწყობა 1400 $მ^2$-ზე, 460 012 ლარი.

ქ. წნორი:

1. სიხაშვილის ქუჩისა და ჩიხების ს/გზის რეაბილიტაცია 28 715 $მ^2$-ზე, 2 047 995 ლ.
2. რუსთაველის ქუჩის და ჩიხების ს/გზის რეაბილიტაცია 40 369 $მ^2$-ზე, 3 044 950 ლ.

სოფ. ანაგა:

1. მთავარანგელოზის ს/გზის რეაბილიტაცია 7 966 $მ^2$-ზე, 949 778 ლ.

სოფ . ვაქირი:

1. ჯანაანთ უბნის (ხუთმილიდან ნათლისმცემლამდე) ს/გზის რეაბილიტაცია 3406 $მ^2$-ზე 611 133 ლ.
2. "დავითაანების" უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 8 087 $მ^2$-ზე, 981 210 ლ.

სოფ. მაშნაარი:

1. ახალი სკოლის უბანში სანიაღვრე კიუვეტების მოწყობა 504 მ.-ზე, 109 489 ლ.

სოფ. ბოდბისხევი:

1. "ფათალიანთ" უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 12 210 $მ^2$-ზე, 1 419 757 ლ.

სოფ. ჯუგაანი:

1. ჩუმაკოანთ უბანში ს/გზის რეაბილიტაცია 4 592 მ²-ზე, 444 734 ლ.
2. სოფ. ჯუგაანში საბავშვო ბაღის ს/გზის რეაბილიტაცია 3 776 მ²-ზე, 256 628 ლ.

სოფ. ტიბაანი:

1. პრასიანის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 23 005 მ²-ზე, 2 810 010 ლ.

სოფ. ქვემო მაჩხაანი:

1. სასაფლაოს ს/გზის რეაბილიტაცია 2 202 მ²-ზე, 227 970 ლ.

სოფ. ქვ. მაღარო:

1. შრომის წყლის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 5 593 მ²-ზე, 656 884 ლ.
2. ლერი მირაშვილის ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია 3973 მ²-ზე, 551 200 ლ.
3. ჟანგირას უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 1 176 მ²-ზე, 146 676 ლ.

სოფ. ქვ. ბოდბე:

1. პოლიკაანთ უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 4461 მ²-ზე, 508 068 ლ.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 2023 წელს სულ განხორციელდა ან მიმდინარეობს 2 653 390 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები მათ შორის:

სოფ. ნუკრიანი:

1. სოფ. ნუკრიანში სპორტული დარბაზის მშენებლობა 445 837 ლარი
2. „ჭოტორის“ უბნის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 10 928 მ²-ზე, 1 021 541 ლ.
3. (კალოები) ე.წ. "ბასკოლიანთ" და "ფორიანთ" უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 8 966 მ²-ზე, 1 186 012 ლარი .

მსოფლიო ბანკის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს სოფ. ზემო ბოდბეში ცენტრალური ს/გზის, ბოხორის და ინტერნეტის უბნის ს/გზის, ქვემო და ზემო ბოდბის დამაკავშირებელი ს/გზის, ქვ. ბოდბეში გონთხევის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 66 641 მ² -ზე, ღირებულებით 7 999 000 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი ფონდების და პროექტების საშუალებით მიმდინარე წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტში 243 946 მ²-ზე დასრულდა ან მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სულ განხორციელდა ან მიმდინარეობს 337 840 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის:

1. სოფ. ნუკრიანის სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა 36 981 ლარი.
2. სოფ. ზმ. ბოდბეში სასაფლაოს შემოღობვა 21 664 ლარი.
3. სოფ. ზემო მაღაროში დარბაზის აღჭურვა სპორტული ინვენტარით 9 570 ლარი.
4. სოფ. ძვ. ანაგაში სკვერის მოწყობა 34 999 ლარი.
5. სოფ. ქვ. მაჩხაანში მიმდინარეობს სასაფლაოს შემოღობვა 17 106 ლარი.
6. სოფ. ხორნაბუჯში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა 29 370 ლარი.
7. სოფლებში: ანაგა, ვაქირი , საქობო მაშნაარი , ქვ. ბოდბე , ქვ. მაღრო , ილიაწმინდა , ბოდბისხევი ჯუგაანი , ტიბაანი და ქალაქ წნორში, 13 829 მეტრზე მიმდინარეობს გარე განათების მოწყობის სამუშაოები რომლის ჯამური ღირებულებაა 207 150 ლარია,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განივთარების სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე წელს განხორციელდა 241 927 ლარის სამუშაოები.

1. სოფ. ქვ. მაღაროს საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა 103 605 ლარი.
2. სოფ. ილიაწმინდას საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა 138 322 ლარი.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტით სულ განხორციელდა 130 867 ლარის სამუშაოები.

1. ქ. წნორში N 2 ბაღის ელექტრო სისტემების რეაბილიტაცია 53 105 ლარი.
2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ შემოსასვლელში ქიზიყის კარიბჭეზე სადროშე ანძის მოწყობის სამუშაოები 77 762 ლ.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობს ქ. სიღნაში, ქ. წნორში და სოფ. ილიაწმინდაში, 2023 წლის 6 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული, 15 საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ღირებულებით 148 743 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმდინარე ან განხორციელებული პროექტების გარდა საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის განყოფილებამ სულ მოამზადა 16 565 815 ლარის ღირებულების სხვა და სხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, აქედან 2 509 607 ლარის პროექტები სამშენებლო მომსახურების შესყიდვის პროცესშია. ამასთან მიმდინარეობს 26 500 000 ლარის სავარაოდო ღირებულების სამუშაოების დაგეგმვა და საპროექტო დავალებების მომზადება.

სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ 2023 წლის 9 თვის განმავლობაში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას სულ გაცემული აქვს 206 ნებართვა ან შეთანხმება, მათ შორის:

II და III კლასის შენობა ნაგებობებზე, 34 ნებართვა, აქედან 15 საცხოვრებელი სახლი, 3 კომერციული ობიექტი, 3 საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი, 13 სასაწყობე სამეურნეო ნაგებობა.

I კლასის შენობა-ნაგებობაზე გაცემულია 81 მშენებლობის ნებარათვა,

91 კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კატეგორიის ცვლილების და დაყოფა-გაერთიანების შეთანხმება.

გაცემული მშენებლობის ნებართვებიდან შემოსულმა ადგილობრივმა მოსაკრებელმა აღნიშნულ პერიოდში სულ შეადგინა 31 609 ლარი.

ჩემთვის, როგორც საკრებულოს წევრისთვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა , რომლის წინაშეც დგას ჩვენი მუნიციპალიტეტი. ეს იქნება ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები თუ აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აქტიურად ვმონაწილეობ მათი განხილვისა და გადაჭრის გზების მოძიებაში.

ადგილობრივ თვითმმართველობისათვის მთავარი საზრუნავი არის და ყოველთვის იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. მუნიციპალიტეტი განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობას და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი გაცემის წესის შესაბამისად ვუწევთ დახმარებას.

საკრებულომ მერის ინიაციატივით შეიტანა ცვლილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში, რითაც კიდევ უფრო მოწესრიგდა სოციალურად დაუცველი , გაჭირვებულთა დახმარება . დახმარებები ეხლა ქულათა რაოდენობით გაიცემა და გასაცემი თანხების რაოდენობაც გაიზარდა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური პაკეტით 2023 წლის 9 თვეში ისარგებლა 1939 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 608026 ლარი.
კერძოდ:

სამედიცინო მომსახურებაზე გასაცემი თანხა-(546 ბენეფიც)-257590ლ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (354 ბენეფიციარი) - 57780 ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (78 ბენეფიციარი) - 16000 ლარი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (694ბენეფიციარი) - 125600 ლარი;

იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვა (7ბენეფიციარი) - 1050 ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვა (55ბენეფიციარი) 9100 ლარი;

მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (24 ბენეფიციარი) - 4050 ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება (2 ბენეფიციარი) 700 ლარი;

ობოლი სტუდენტების დაფინანსება (11 სტუდენტი)-10600 ლარი

სოც. დაუცველი სტუდენტების (9 სტუდენტი)-8600 ლარი.

მრავალშვილ.ოჯახებიდან სტუდენტთა დაფინანსება-(1 სტუდ)-800ლ(სულ 21 სტუდენტი -20.000 ლ.(აღნიშნულ მუხლში მ.წ. გამოყოფილია 38.500ლ)

ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისათვის დახმარება (11ოჯახი)- 23565ლარი.

დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ფინანსური დახმარება (9ოჯახი)- 36610 ლარი;

დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე ყოველთვიურად გასაცემმა თანხამ შეადგინა (32 ბენეფიციარი) - 32200 ლარი;
100 წლის უხუცესთა სოც.დახმარება-800 ლარი (4 მოქალაქე)

8 მარტს, 94 მრავალშვილიან დედას გაეწია ფინანსური დახმარება, სულ - 9400ლარი;

უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფა (8 ოჯახი)— 1358 (გამოყოფილია18000 ლ)

29 მარტოხელა მშობელსა და 59 მარჩენალდაკარგულ ოჯახს დედის დღესთან დაკავშირებით გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები, რომელზეც გაიცა-4928ლ.

ერთი უმწეო და მზრუნველობამოკლებული ხანდაზმული, სოციალური სამსახურის შუამდგომლობით, განთავსებულია მოხუცთა სადღეღამისო ცენტრში და მერიისგან ყოველთვიურ თანადაფინანსებას იღებს 250 ლარის ოდენობით.
გასულ წელთან შედარებით , უპოვართა და უშოვართა სასადილოების დაფინანსება გაიზარდა 42400 ლარით.

2018 წლის 26 მარტს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ერთობლივი პროექტის "საქმიანობათა ცენტრი სიღნაღში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ განხორციელების მიზნით, სიღნაღის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნული ორგანიზაციის თანადაფინანსებისთვის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის რაოდენობა შეადგენს 55000 ლარს.

სწჯ სიღნაღის ფილიალში ფუნქციონირებს დღის ცენტრი ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის, სადაც ბენეფიციარები სარგებლობენ ცენტრში არსებული სერვისებით (სასწავლო სესიები და ლექციები, ტრენინგები, შეხვედრები, სხვადასხვა

სოციალური ღონისძიებები და სხვა). საანგარიშო პერიოდში, დღის ცენტრის ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 300-ს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სიღნაღის ფილიალი ახორციელებს, თემზე დაფუძნებული ბინაზე მოვლის სერვისს, 30 ბენეფიციარზე.

აღნიშნულმა ორგანიზაციამ, აპრილში, სააღდგომო ამანათები გადასცა სოციალურად დაუცველ 60 ოჯახს.

8 ივნისს, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, სწჯ სიღნაღის ფილიალს კომპანია „ვაიკიკი"-მ გადმოსცა ტვირთი (ტანსაცმელი ბავშვებისა და მოზრდილებისთვის), რომელიც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ინიციატივითა და მერიის სოციალური სამსახურის ჩართულობით, საჩუქრად გადაეცა უკრაინის კრიზისის შედეგად იძულებით გადაადგილებულ 4 ოჯახს და მრავალშვილიან, მარტოხელა და მარჩენალდაკარგულ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, სულ-115 ოჯახზე, სადაც 359 ბავშვი იმყოფებოდა.

საქართველოს წითელი ჯვრის სიღნაღის ფილიალში, პერმანენტულად ტარდება პირველი დახმარების და საბაზისო კურსის ტრენინგები. ესწრებიან როგორც ახლად მოზიდული მოხალისეები, ასევე მსურველი მოქალაქეები.
საანგარიშო პერიოდში, ბაზისური პირველი დახმარების ტრენინგი გაიარა 100-მდე მსურველმა.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მათი ოჯახის მხარდაჭერის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვის განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებულია მულტიდისციპლინური გუნდით. აღნიშნული ჯგუფი აქტიურად ახორციელებს ვიზიტებს სკოლებში, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებსა და ბავშვიან ოჯახებში, ეხმარება მათ სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაჭრასა და მოგვარებაში.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო სპორტისა და შემოქმედებითი საქმიანობის მიღწევებს მუნიციპალიტეტში. სიახლეა და წელს პირვილად ,საკრებულომ მიიღო დადგენილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის შესახებ" , რომლის საფუძველზეც დაჯილდოვდა - 12 წარმატებული

სპორტსმენი (12500 ლარი) და 7 მწვრთნელი (5 020 ლარი) ჯამში ჯილდოს სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 17 520 ლარი .

სპორტულ კარიერაში ახალი წარმატებები აქვს ცოტნე ბეჟაშვილს, რომელიც აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, კლასიკურ წოლჭიმში (ღია კატეგორია) მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ხოლო საფრანგეთის ქალაქ ბორდოში მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი 66 კგ. წონით კატეგორიაში . ასევე გოგონათა შორის ძიუდოში ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა გოგონები ანი გულდამაშვილი და მაკა ბოლღაშვილი საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

მუშაობას ვაგრძელებთ სიღნაღის მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის

პოპულარიზაციის, კულტურის, განათლების, ახალგაზრდული საკითხების,

სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობისა და ტრადიციების შენარჩუნებისათვის.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო სიღნაღის შემოქმედებით ცხოვრებას, თეატრალურ მიღწევებსა და წარმატებებს.

2023 წ თებერვალში სიღნაღის მუნიციპალური თეატრი მორიგი წარმატებული გასტროლით შვეიცარიაში იმყოფებოდა, სადაც, ორ დიდ ქალაქში, ჟენევასა და ციურიხში წარმოადგინა გ. ბათიაშვილის ,,მოხეტიალე დასი''.თეატრი მიწვეული იყო შვეიცარიული თეატრ,,ბელოე''-ს მიერ,რომელიც შარშან სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა სიღნაღის ყოველწლიურ საბავშვო თეატრალურ ფესტივალზე.

სპექტაკლმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. წარმატებულ გასტროლს იქაური პრესა და ტელევიზია გამოეხმაურა.

3 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით სიღნაღის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სიღნაღის

მუნიციპალიტეტის და მაჟორიტარი დეპუტატის, დავით სონღულაშვილის

ინიციატივით დაფუძვნებულ „სიღნაღის თეატრალურ ფესტივალს“ პირველად

უმასპინძლა, მასში მონაწილეობა მიიღო სახალხო სამოყვარულო თეატრალურმა

დასებმა.

წელს , ქალაქ წნორში, ევდოშვილის ქუჩაზე, კულტურის და დასვენების პარკის მშენებლობა დასრულდა, რომელიც 2023 9 ივლის საზეიმო ღონისძიებით გაიხსნა, მუსიკალური საღამო მთავრობის ადმინისტრაციისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით გაიმართა. სკვერში სამზადისი აქტიურად მიმდინარეობს. მონტაჟდება საკონცერტო სცენა, ეწყობა საბავშვო, გასართობი სივრცეები და პავილიონები.

ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ადგილობრივი მეწარმეების მიერ გამოფენილი პროდუქცია დაათვალიერებინათ, პატარა სტუმრებისთვის საბავშვო გასართობი და შემეცნებითი აქტივობები გაიმართა. მათ განწყობაზე ზღაპრის გმირები და ანიმატორები ზრუნავდნენ .მას შემდეგ წნორის პარკის ამფითეატრის სივრცეში,არაერთი კულტურული ღონისძიება გაიმართა .

13 ოქტომბერს ,ქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით სიღნაღში, ღვინის ფესტივალი „ღვინის დღეები საქართველოში“ გაიმართა. ფესტივალი ქალაქში ყოველწლიურა ტარდება და ტრადიციულ ხასიათს ატარებს.მთელი დღის განმავლობაში, ადგილზე მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ღვინის, მწვადის, ყველის, პურის, ჩურჩხელის, ჭაჭის გამოხდასა და მის დეგუსტაციაში. ფესტივალის ჩატარების ადგილზე, მოეწყო შემოდგომისთვის დამახასიათებელი საგამოფენო კუთხეები და კვების სივრცე ტრადიციული კერძებით.

გაიმართა სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობები; კერამიკაზე მოხატვის მასტერკლასები, ექსკურსიები სიღნაღის მარნებში, კოსტიუმირებული მსახიობების მსვლელობა, შემეცნებითი ინტერაქტიული გამოფენა - „8000-წლიანი უწყვეტი ტრადიცია“. დღის ბოლოს დასკვნითი

კონცერტი გაიმართა, რომელშიც ნუკრი კაპანაძე, აჩიკო ბერიძე, სოფო ხალვაში, ანი კეკუა, სანდრო კობახიძე, ანუკი ცქვიტინიძე, გელა დონაძე, სოფო პაპუაშვილი და თემურ ყვითელაშვილი მონაწილეობდნენ.

მუნიციპალიტეტი კვლავაც გააგრძელებს ს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას.

მეგობრებო!

ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტის წარმომადგელობითი ორგანოს უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლია . მ/ წელს მოვისმინეთ მერის , მალხაზ ბეგიაშვილის ანგარიში, 5 სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელის ანგარიში, მერიის მიერ დაფუძნებული 7 ა(ა) ი.პ–ის ხელმძღავანელის ანგარიში. მუნიციპალიტეტის მერის მ/წლის ანგარიშს კიდევ მოვისმენთ 2024 წლის პირველ კვარტალში .

საკრებულოს თითოეული წევრი, მე როგორც საკრებულოს თავმჯდომარე , კოლეგიალურად ვთანამშრომლობთ მინიციპალიტეტის მერთან, მალხაზ ბეგიაშვილთან , მერიის სტრუქრურულ ერთეულებთან, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ვფიქრობთ ერთობლივი მუშაობით დაიძლევა მინიციპალიტეტის წინაშე მდგარი ამოცანები. მერიასთან ერთობლივი მუშაობით მოვახდინეთ მუნიციპალიტეტის სოფლების ძველი-ანაგის, ტიბაანის , ჯუგაანის ,ბოდბისხევის, ანაგა, ვაქირის , ნუკრიაანის, ზემო და ქვემო მაღაროს, ბოდბე და ქვემო ბოდბის გეოგრაფიული ობიექტები (ქუჩები).

ბოლოს ,ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო საკრებულოს აპარატს , რომელიც საკრებულოს ფუნქციონირების, მათი საქმიანობის ორგანიზაციულ –ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნითაა შექმნილი და ორი სტრუქტურული დანაყოფით არის წარმოდგენილი . აპარატის ხელძღვანელობა პირადად მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს მევალება .

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა გითხრათ , რომ გასაკეთებელი ძალიან ბევრია, პრობლემაც არა ერთი, რომელსაც თქვენი მონაწილეობით და ჩვენი გუნდური მუშაობით დავძლევთ.

მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის, მადლობას გიხდით იმ თანადგომისთვის, რასაც თქვენ ჩემდამი იჩენთ.

მიმაჩნია, განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა დარჩენილ საანგარიშო პერიოდში.

დავით ჯანიკაშვილი